საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-16/355
06/06/2019

355-შ-19-1-4-201906061222

ერთის მხრივ შპს „მაგთიკომსა“ და მეორეს მხრივ შპს „ვიონი საქართველოს“ შორის არსებული დავის განხილვის შესახებ

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში - „კომისია“) საჩივრით მიმართა შპს „მაგთიკომმა“ (კომისიაში რეგისტრაციის: Nშ-19-6/1761 18.04.19) შპს „ვიონი საქართველოს“ წინააღმდეგ. საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს „მაგთიკომი“ (შემდგომში მაგთიკომი) ისევე როგორც სხვა მობილური ოპერატორები, Bulk SMS მომსახურებას უწევენ სხვადასხვა სუბიექტებს. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს, როგორც მაგთიკომის, ასევე სხვა მობილური ოპერატორების ქსელში ჩართულ სააბონენტო ნომრებზე საინფორმაციო/სარეკლამო მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნას ბანკის მიერ მოწოდებულ სატელეფონო ნომრებზე ან ბანკის მითითებით აბონენტთა გარკვეული ჯგუფისათვის. მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა ხორციელდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. ასეთი სახის შეტყობინებებს, როგორც წესი, გამგზავნი ნომრის (A ნომერი) ნაცვლად მითითებული აქვს გამგზავნი კომპანიის/ბრენდის სახელები;

მაგთიკომის განცხადებით, სს „პროკრედიტ ბანკი“ (შემდგომში - ბანკი) წლებია სარგებლობს მაგთიკომის Bulk SMS მომსახურებით (შეტყობინებები იგზავნებოდა ProCredit-ის სახელით). 2019 წლის 15 თებერვალს მაგთიკომისთვის ცნობილი გახდა, რომ ბანკის კლიენტებმა, რომლებიც ჩართული არიან შპს “ვიონი საქართველოს“ (შემდგომში - ვიონი) ქსელში ვერ მიიღეს ბანკის დაკვეთით მაგთიკომის ქსელიდან გაგზავნილი შეტყობინებები (იხ. დანართი: პროკრედიტ ბანკის წერილი). ბანკმა მაგთიკომს აცნობა ის, რომ ვიონმა დაადასტურა შეტყობინებების დაბლოკვის ფაქტი. გარდა ამისა, ვიონი მომავალშიც დაბლოკავდა ყველა ასეთი სახის შეტყობინებებს, თუ ბანკი არ გააფორმებდა მათთან ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ვიონი თავად უზრუნველყოფდა ასეთი სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას საკუთარ აბონენტებთან;

მაგთიკომი აღნიშნავს, რომ 2019 წლის 22 თებერვალს კომისიისაგან მიიღო განმარტება (იხ. წერილი Nგ-19-08/435), რომ იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი (A ნომერი) ნომრის ნაცვლად ფიქსირდება კომპანიის/ბრენდის დასახელება, შეტყობინების მიმღები ნომრის (B ნომერი) მომსახურე კომპანია, უფლებამოსილია ასეთი მომსახურება ჩათვალოს არასტანდარტულად და მოითხოვოს ანაზღაურება;

მაგთიკომი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ Bulk SMS მომსახურება განსხვავდება ორ აბონენტს შორის სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული SMS კომუნიკაციისაგან, ვიონის ქმედებები ეწინააღმდეგება როგორც კანონმდებლობის, ასევე მასზე, როგორც მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირზე, დაკისრულებული

სპეციფიკური ვალდებულებების მოთხოვნებს. მაგთიკომი ხაზს უსვამს იმ ძირითად განსხვავებას/სხვაობას, რაც არსებობს Bulk SMS მომსახურებასა და ორ აბონენტს შორის სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ SMS კომუნიკაციას შორის. კერძოდ, Bulk SMS მომსახურების დროს SMS-ის გაგზავნა ხდება არა ფიზიკურად აბონენტის (მობილური ტელეფონის გამოყენებით) მიერ, არამედ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა გაიგზავნოს იგივე შინაარსის შეტყობინებები ერთდროულად დიდი ოდენობის სააბონენტო ნომრებთან. შესაბამისად, მომსახურების შინაარსის სწორად შესაფასებლად, მაგთიკომის მოსაზრებით, მნიშნელოვანია ეს გარემოება და არა ის - A ნომრის ნაცვლად კომპანიის სახელი (ბრენდი) იქნება მითითებული, თუ ნუმერაციის რესურსის არსებული ფორმატების დაცვით ნებისმიერი სხვა ნომერი. ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ Bulk SMS მომსახურების დროს შეიძლება (და ძირითადად ასეც ხდება) დაიგზავნოს სარეკლამო სახის შეტყობინებები, რაც წარმოადგენს პირდაპირ მარკეტინგს და ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში. სწორედ ამიტომ, მაგთიკომის აბონენტებს ეკრძალებათ სტანდარტული ხელშეკრულების ფარგლებში გააგზავნონ სარეკლამო შეტყობინებები, მით უმეტეს, განუსაზღვრელი რაოდენობის აბონენტებთან. ასეთი მომსახურების მისაღებად აუცილებელია გაფორმდეს შესაბამისი Bulk SMS მომსახურების ხელშეკრულება;

მაგთიკომის შეფასებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19.3 მუხლის თანახმად, ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან გაუწიონ სხვა მსურველ ოპერატორს ურთიერთჩართვის (პირდაპირი ან არაპირპიდაპირი) მომსახურება, დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით, შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით. ამავე კანონის 2.ჭ[29] მუხლის თანახმად, ურთიერთჩართვა განმარტებულია, როგორც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ფიზიკური და ლოგიკური კავშირი, რომელსაც იყენებს ერთი ან რამდენიმე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რათა ერთი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცეს, დაუკავშირდეს იმავე ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს, ან/და ისარგებლოს სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომსახურებით; ამავე კანონის 19.3 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა და იგი დაიშვება მხოლოდ კომისიის თანხმობით, მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ასრულებს ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობებს. ამავე კანონის 2.ა მუხლის თანახმად, აბონენტი არის ბოლო მომხმარებელი, რომელსაც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთან წინასწარ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე მიეწოდება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება. ამავე კანონის 2.ო მუხლის თანახმად ბოლო მომხმარებელი არის მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებლისათვის;

შესაბამისად, მაგთიკომს მიაჩნია, რომ ვიონმა კანონის ზემოაღნიშნული მუხლების დარღვევით დაბლოკა მაგთიკომის ქსელიდან ვიონის ქსელის აბონენტებისათვის გაგზავნილი შეტყობინებები. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ა) და ო) პუნქტების გათვალისწინებით, ბანკი იძენს მომსახურებას საკუთარი მიზნებისათვის და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ გადაყიდვას, ამდენად, ბანკი წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს. ამავე დროს, ბანკს გაფორმებული აქვს საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება და იგი წარმოადგენს მაგთიკომის აბონენტს;

ამავე კანონის კანონის მე-2 მუხლის ჭ[29] პუნქტის შესაბამისად, ურთიერთჩართვა მოიცავს ერთი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებლის შესაძლებლობას (მოცემულ შემთხვევაში ბანკის შესაძლებლობას), დაუკავშირდეს იმავე ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს (მოცემულ შემთხვევაში ვიონის აბონენტს). ვინაიდან კანონი არ აკონკრეტებს, რომ ასეთი შესაძლებლობა ეხება მხოლოდ ხმოვანი ზარის განხორციელების შესაძლებლობას, იგი მოიცავს ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობასაც.

შესაბამისად, მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღება წარმოადგენს ურთიერთჩართვის მომსახურებას;

მაგთიკომსა და ვიონს შორის მოქმედებს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება. მაგთიკომის თვლის, რომ ვიონმა შეწყვიტა ურთიერთჩართვის მომსახურება, ვიონის მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ კონკრეტული მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაბლოკვას. ვინაიდან, კანონი არ იცნობს ურთიერთჩართვის ნაწილობრივი შეწყვეტის ცნებას, ამდენად, ვიონის ქმედება უნდა შეფასდეს ურთიერთჩართვის მომსახურების შეწყვეტად. მაგთიკომის მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე დარღვევას ადგილი, უფრო მეტიც ვიონმა ისე დაბლოკა მაგთიკომის ქსელიდან გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომ მაგთიკომისათვის წინასწარ არ უცნობებია/გაუფრთხილებია. ვინაიდან, მაგთიკომის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების დარღვევას, არ არსებობდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთჩართვის შეჩერების საფუძველი. ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი ვიონს არ ჰქონდა უფლება შეეწყვიტა ურთიერთჩართვის მომსახურება კომისიის თანხმობის გარეშე;

მაგთიკომი ასევე აღნიშნავს, რომ ვიონი არღვევს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებას, ვინაიდან, ვიონს არ დაუბლოკია შეტყობინებები სხვა ოპერატორებისთვის. გარდა ამისა, მაგთიკომი წლების განმავლობაში უწევს Bulk SMS მომსახურებას აბონენტებს და აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, ვიონს ან რომელიმე სხვა კომპანიას დაებლოკა შეტყობინებების მიღება საკუთარ ქსელში;

შესაბამისად, მაგთიკომის მოთხოვნას წარმოადგენს კომისიის მიერ საჩივრის განხილვა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული მუხლების და სპეციფიკური ვალდებულებების დარღვევის გამო ვიონისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. გარდა ამისა, მაგთიკომი კომისიას სთხოვს განმარტებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებთ:

1. წარმოადგენს თუ არა საჩივარში აღწერილი Bulk SMS მომსახურება და აბონენტებს შორის ფიზიკურად გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია განსხვავებული მომსახურების სახეებს;
2. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მომსახურებები განსხვავებულია, რამდენად აქვს უფლება ოპერატორს, ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით, შეზღუდოს კონკრეტული სუბიექტ(ებ)ის Bulk SMS მომსახურება იმ დრომდე, სანამ არ გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება;
3. შეუძლია თუ არა “B” ნომრის მომსახურე კომპანიას Bulk SMS მომსახურების შემთხვევაში, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეზღუდოს/დაბლოკოს შეტყობინებების მიღება საკუთარ ქსელში;
4. “B” ნომრით მომსახურე კომპანია, Bulk SMS მომსახურებაზე შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნისას, თავისუფალია თუ არა ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაში;
5. Bulk SMS მომსახურების მიწოდებისას/შეთავაზებისას “B” ნომრის მომსახურე კომპანიაზე, თუ ის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირია მომსახურების რომელიმე ბაზრის (როგორც საცალო, ასევე საბითუმო) სეგმენტზე, თუ ვრცელდება/გავრცელდება რომელიმე სპეციფიკური ვალდებულება და რა ფორმით.

მაგთიკომის ზემოაღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიის მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 2 მაისს, რის თაობაზეც შეტყობინებით ეცნობა ვიონს (N გ-19-03/1227, 25/04/2019) და მაგთიკომს (Nგ-19-03/1228, 25/04/2019) და ეთხოვა დავასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და მტკიცებულებების კომისიაში წარმოდგენა მოსამზადებელ სხდომამდე. მხარეებს ასევე განემარტათ მათი უფლებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვასთან დაკავშირებით. 2019 წლის 30 აპრილის Nშ19-06/1953 წერილით ვიონმა მოითხოვა მოსამზადებელი

სხდომის გადადება 10 კალენდარული დღით, რაც დაკმაყოფილდა კომისიის 2019 წლის 2 მაისის სხდომაზე;

2019 წლის 14 მაისის №შ-19-06/2204 წერილით, ვიონმა წარმოადგინა პოზიცია მაგთიკომის საჩივართან დაკავშირებით, არ დაეთანხმა მას და აღნიშნა, რომ ვიონის მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. ვიონი აღნიშნავს, რომ მაგთიკომის ქსელიდან ხორციელდებოდა Bulk SMS-ბის გაგზავნა ვიონის ქსელში, რომელთაც არ გააჩნდა მაიდენტიფიცირებელი A ნომერი და ვიონის ქსელში აღნიშნული მოკლე ტექსტური შეტყობინებები იგზავნებოდა დაუდგენელი A ნომრიდან, ხოლო აბონენტებს A ნომრის ნაცვლად უფიქსირდებოდათ სხვადასხვა შინაარსის ტექსტები, თუ კომპანიის დასახელებები, რასაც მაგთიკომი თავის წერილშივე ადასტურებს, კერძოდ, იმას, რომ Bulk SMS განსხვავდება ორ აბონენტს შორის მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციისაგან და Bulk SMS-ებს გზავნის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რომელსაც არ გააჩნია A ნომერი და ნაცვლად A ნომრისა ფიქსირდება სხვადასხვა კომპანიის დასახელებები, რაც წარმოადგენს არასტანდარტულ მომსახურებას;

ვიონი მიუთითებს, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის მე-3 მუხლის „ჰ[18]"პუნტის შესაბამისად, მოკლე ტექსტური შეტყობინება არის მობილური სატელეფონო მომსახურება, რომელიც განხორციელებულია მობილური ტელეფონის საშუალებით. აგრეთვე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 21.02.2019 წლის Nგ-19-08-435 წერილითაც დადასტურებულ იქნა, რომ A ნომრის ნაცვლად კომპანიის დასახელების დაფიქსირება წარმოადგენს არასტანდარტულ მომსახურებას და B ნომრის მფლობელი კომპანია უფლებამოსილია აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ მოითხოვოს ანაზღაურება;

ვიონი არ დეთანხმა მაგთიკომის მსჯელობას იმასთან დაკავშირებითაც, რომ ბანკი წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს, ვინაიდან ბანკის მიერ თავისი მომხმარებლებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა წარმოადგენს ბანკის მომხმარებლებისათვის ფასიან მომსახურებას, ხოლო "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, ბოლო მომხმარებელია - მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებლისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებლისათვის. ვიონის მოსაზრებით, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მომსახურება, რომელსაც ბანკი სთავაზობს მის მომხმარებლებს წარმოადგენს ფასიან მომსახურებას, ეს ვერ ჩაითვლება ბოლო მომხმარებლებს შორის კომუნიკაციად და, შესაბამისად, ასეთი მომსხაურების მიწოდებისას, დაფიქსირდება A ნომერი თუ კომპანიის დასახელება კარგავს მნიშვნელობას, ვინაიდან ხდება ბანკის მიერ მომსახურების შემდგომი მიყიდვა;

ვიონი ასევე არ იზიარებს მაგთიკომის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა წარმოადგენს ურთიერთჩართვის მომსახურებას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ"[29] ქვეპუნქტის მიზნებისთვის. ვიონი მიუთითებს, რომ ურთიერთჩართვის მიზნებისთვის სახეზე უნდა იყოს მომხმარებლებს შორის კავშირის შესაძლებლობა, ხოლო ბანკი, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ო) პუნქტის შესაბამისად, არ წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს, ვინაიდან ახორციელებს აღნიშნული მომსახურების გადაყიდვას. აგრეთვე, საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში მობილური კავშირის განხორციელების დროს გამოძახების იდენტიფიცირებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გამომძახებელი აბონენტის ეროვნული ნომრის გამჭვირვალედ გადაცემა ან/და მიღება. ვიონის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში Bulk SMS-ებს არ გააჩნიათ გამოძახების იდენტიფიცირებისათვის ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების მიხედვით გათვალისწინებული A ნომერი. შესაბამისად, აღნიშნული ვერ ჩაითვლება ურთიერთჩართვის მომსახურებად;

ვიონი განმარტავს, რომ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ურთიერთჩართვის მომსახურება არ შეჩერებულა, ვინაიდან ორივე ქსელის ბოლო მომხმარებლები დღემდე ახორციელებენ ერთმანეთთან დაკავშირებას ყოველგვარი ხარვეზისა და შეზღუდვის გარეშე. შესაბამისად, არც დისკრიმინაციულ მიდგომას ჰქონია ადგილი, როგორც ამას უთითებს მაგთიკომი. ხოლო რაც შეეხება მაგთიკომის მტკიცებას, რომ ვიონის მხრიდან არ განხორციელებულა სხვა კომპანიების მიმართ მსგავსი ქმედება, რასაც დისკრიმინაციულობის ჭრილში განიხილავს, ვიონი დანართის სახით წარადგენს სხვა კომპანიებისათვის გაგზავნილ წერილებს, სადაც ითხოვს აღნიშნულ ფასიან მომსახურებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმებას;

ვიონი არ ეთანხმება მაგთიკომის მოთხოვნას სანქცირების თაობაზე და მიაჩნია, რომ მაგთიკომი ითხოვს კომისიისაგან განმარტებების გაკეთებას, რაც იმთავითვე გამორიცხავს ვიონის მიერ კანონდარღვევის ჩადენის ფაქტს. ვიონის მიაჩნია რომ მის მიერ არ განხორციელებულა კანონდარღვევა;

ვიონი კომისიას სთხოვს განმარტოს ითვლება თუ არა სტანდარტულ SMS მომსახურებად, ანუ ბოლო მომხმარებლებს შორის კომუნიკაციად ისეთი შემთხვევა, როდესაც A ნომრის გამოყენებით ხორციელდება სარეკლამო და საინფორმაციო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა ვიონის აბონენტებთან. მას მაგალითისთვის მოჰყავს შემთხვევა, როდესაც გლობალსელის მიერ 2019 წლის 8 აპრილს განხორციელდა სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა მაგთიკომის არხების გამოყენებით, რომელთა საერთო რაოდენობამ 8 აპრილს შეადგინა 78 351. ვიონმა დანართის სახით წერილს მტკიცებულების სახით დაურთო სისტემის prtsc-დან ამონაწერი. ვიონს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა განხორციელდა A ნომრის მეშვეობით, აღნიშნული ვერ ჩაითვლება ბოლო მომხმარებლებს შორის კომუნიკაციად, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენდა გლობალსელის სარეკლამო შინაარსის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, რომელთა გაგზავნაც განხორციელდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. გარდა ამისა, ვიონი ითხოვს იმ ფაქტის შესწავლას, თუ რამდენად კანონიერად ახორციელებდა გლობალსელი ვიონის აბონენტების შესახებ ინფორმაციის მარკეტინგული მიზნებისათვის დამუშავებას და ჰქონდა თუ არა მას სათანადო თანხმობა აღებული ჩვენი აბონენტებისაგან;

დავის განხილვის მიზნით, კომისიის მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2019 წლის 16 მაისს. მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადდნენ მაგთიკომის წარმომადგენლები: ლევან გიორგაძე, კონსულტანტი, ნიკა დავითაშვილი, კომერციული დირექტორი, დავით ძიძიგური, იურისტი; ვიონის წარმომადგენელი: ირაკლი ესართია, იურიდიული სამსახურის უფროსი;

კომისიის მოსამზადებელ სხდომაზე, ვიონის იურიდიული სამსახურის უფროსმა ირაკლი ესართიამ განმარტა, რომ შესაძლებელია ვიონის ქსელში A ნომრის გარეშე შემოსული მოკლე ტექსტური შეტყობინების გამომგზავნისა და ბრენდული სახელწოდების იდენტიფიცირება. მოცემულ შემთხვევაში, ვიონმა გაარკვია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინება შემოსულია მაგთიკომიდან, ასევე ისიც, რომ შეტყობინებას არ ახლავს A ნომერი. პროკრედიტ ბანკმა ვიონთან გააფორმა ხელშეკრულება, ამდენად, ვიონი საკუთარ აბონენტებთან გაგზავნის პროკრედიტ ბანკის შეტყობინებებს საკუთარი სანომრე რესურსების ფარგლებში, თუმცა ასეთ შეტყობინებას არ გზავნის მაგთიკომის აბონენტებთან, რადგან A ნომრის გარეშე შეტყობინების გაცვლასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულება მაგთიკომთან გაფორმებული არ არის. ვიონის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაცვლა A და B ნომრებს შორის ხორციელდება მაგთიკომსა და ვიონს შორის არსებული ურთიერთჩართის ხელშეკრულების ფარგლებში. თუმცა მოკლე ტექსტური შეტყობინების საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, მაგთიკომი და ვიონი ასეთი შეტყობინებების გაცვლას ახორციელებენ უფასოდ;

ვიონის წარმომადგენლმა ასევე აღნიშნა, რომ გლობალსელი ხშირად იყენებს საკუთარ ფიქსირებულ ნომრებს (ნუმერაციის რესურსს) სარეკლამო შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებების ვიონის აბონენტებთან გასაგზავნად, ასეთი მოკლე ტექსტური შეტყობინებები არ წარმოადგენს ჩვეულებრივ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, ვინაიდან მათი გაგზავნა ხორციელდება სისტემის მეშვეობით, რაც

სცდება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებს. ვიონის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ წერილობით მიმართა კომპანიებს, მათ შორის სს „სილქნეტის“, მაგთიკომის და შპს „გლობალსელის“ აბონენტებს და მოსთხოვა ხელშეკრულების გაფორმება. შედეგად, ხელშეკრულებები გაფორმდა რამდენიმე მათგანთან, მათ შორის პროკრედიტ ბანკთან და სს „საქართველოს ბანკთან“;

მაგთიკომის წარმომადგენელმა ლევან გიორგაძემ განაცხადა, რომ მაგთიკომი საქართველოს ბაზარზე მოქმედებს 1997 წლიდან, ვიონი საქართველოს ბაზარზე შემოვიდა 2007 წელს, დიდი რაოდენობის მოკლე ტექსტური შეტყობინებები ყოველთვის იგზავნებოდა აბონენტებთან, ყოველგვარი საფასურის გარეშე, შესაბამისად, ვიონს მაგთიკომისთვის ასეთი მომსახურების გაწევისთვის თანხის მოთხოვნის უფლება არ აქვს. მოცემულ შემთხვევაში, ვიონმა მოითხოვა საფასური კონკრეტულ მიმართულებაზე (ე.წ. Bulk SMS), მას ასეთ შემთხვევაში ყველა მოკლე ტექსტურ შეტყობინებაზე უნდა დაეყენებინა მოთხოვნა. მაგთიკომის მოსაზრებით, იქნება ეს Bulk SMS თუ ჩვეულებრივი მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომელსაც აბონენტი აგზავნის, მიუხედავად მათი განსხვავებისა და სპეციფიკისა, სამართლებრივად ეს ორი ერთი და იგივე შინაარისის მატარებელია, ხოლო თუ კომპანია აბონენტის მიერ გაგზავნილ SMS-ში არ ითხოვს თანხას, მაშინ არც Bulk SMS-ისთვის უნდა მოითხოვოს. ლევან გიორგაძემ ასევე აღნიშნა, რომ SMS-ის აღრიცხვა არ ხდება, თუმცა შესაძლებელია მონაცემების მიღება;

ვიონის წარმომადგენელმა ირაკლი ესართიამ განმარტა, რომ კომპანიას არ შეუწყვეტია ურთიერთჩართვა მაგთიკომთან, არამედ დაბლოკა A ნომრის გარეშე ბრენდული სახელწოდებით ProCredit შემომავალი SMS-ები. მან დასძინა, რომ შპს ჯეოსელთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვიონი თავად აწვდის ასეთ შეტყობინებებს საკუთარ აბონენტებს;

კომისიის 2019 წლის 30 მაისის კომისიის სხდომაზე საკითხის არსებითად განხილვისას, ვიონის წარმომადგენელმა ირაკლი ესართიამ წარმოადგინა ინფორმაცია მაგთიკომიდან ვიონის ქსელში დასრულებული SMS-ების საერთო რაოდენობის შესახებ. მისი განცხადებით, აპლიკაციის მეშვეობით 1 თვეში შემოსულია 39 მილიონზე მეტი მოკლე ტექსტურ შეტყობინება, საიდანაც დაახლოებით 22 მილიონი შეტყობინება - ანუ თითქმის ნახევარი არის A ნომრის გარეშე, დანარჩენი - დაახლოებით 17 მილიონ შეტყობინებაშიც არის Bulk SMS, რაც ამ ეტაპზე ტექნიკურად არ არის გაშიფრული. სხდომაზე, ვიონმა მოითხოვა განმარტება იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა Bulk SMS ჩაითვალოს როგორც დამატებითი მომსახურება, რომლისთვისაც კომპანიას შეეძლება დამატებითი საფასურის მოთხოვნა;

მაგთიკომი არ დაეთანხმა ვიონის წარმომადგენლის განცხადებას ბანკის შეტყობინებების გათიშვის თაობაზე. ვიონის წარმომადგენელმა ირაკლი ესართიამ დაადასტურა, რომ ვიონს ProCredit ბანკის სახელით შემოსული SMS-ები გათიშული ჰქონდა, რომელიც ჩართო მას შემდეგ რაც გააფორმა ხელშეკრულება პროკრედიტ ბანკთან, ხოლო შეტყობინებები ისევ მაგთიკომიდან შემოდის. აღნიშნული განცხადება გააპროტესტა მაგთიკომის წარმომადგენელმა ლევან გიორგაძემ;

სხდომაზე კომისიამ დაუსვა შემდეგი შეკითხვები დავაში მონაწილე მხარეებს: წარმოადგენს თუ არა Bulk SMS მომსახურება A ნომრით ან მის გარეშე, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას და ვრცელდება თუ არა ასეთ მომსახურებაზე ურთიერთჩართვის ვალდებულება? როგორ მიიჩნევს მაგთიკომი, მისგან გასული როგორც A ნომრიანი, ისე A ნომრის გარეშე Bluk SMS-ები სავალდებულო რეჟიმში უნდა დაასრულოს თუ არა ვიონმა თავის აბონენტებთან? იგივე შეკითხვა დაისვა ვიონის წარმომადგენელთან;

მაგთიკომის წარმომადგენლმა ლ. გიორგაძემ განმარტა, რომ ნებისმიერი ტიპის SMS წარმოადგენს ურთიერთჩართვის ნაწილს და მისი დასრულება სავალდებულოა იმის განურჩევლად A ნომრით არის თუ მის გარეშე Bulk SMS. მთავარია რა ტიპის SMS-ებზეა საუბარი. კერძოდ, არსებობს ორი კატეგორიის SMS-ები: A2P და P2P. A2P არის აპლიკაციის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება, რაც შინაარსობრივად ავტომატურად გულისხმობს, რომ ეს არის Bulk SMS მომსახურება, ვინაიდან მაგთიკომის აპლიკაციას ამ შემთხვევაში იყენებს კლიენტი, როდესაც სურს ასეთი სერვისით

სარგებლობა და ადრესატთა ფართო წრეს გაუგზავნოს შეტყობინება. P2P შემთხვევაში 2 ფიზიკური პირი ერთმანეთს უგზავნის შეტყობინებას. ამ შემთხვევაშიც შეიძლება დიდი რაოდენობით შეტყობინებების დაგზავნა, მაგრამ ეს ის რაოდენობა არ არის, რაც პირველ შემთხვევაში. ლევან გიორგაძის აზრით, ორივე ტიპის SMS-ი არის ურთიერთჩართვის ნაწილი და მისი დასრულება ვიონის ვალდებულებას წარმოადგენს. განსხვავება ამ ორ SMS-ს შორის არის მასიურობა და კომერციული შინაარსი. A2P-ს ნაწილში შეიძლება ოპერატორს ჰქონდეს განსხვავებული მიდგომა და სხვა ოპერატორს ამაში მოთხოვოს ანგარიშსწორება, რადგანაც ერთდროულად ხდება არხის დატვირთვა დიდი მოცულობით და ა.შ. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ანგარიშსწორების მოთხოვნის უფლება, ალბათ, უნდა არსებობდეს. შესაძლებელია მეორე ნაწილშიც (P2P) იყოს მოთხოვნა თეორიულად, ფასიანი მომსახურების თაობაზე, თუმცა ბაზრის გამოწვევების გათვალისწინებით, ამ ნაწილზე აქტიური ქმედებების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის;

მაგთიკომის მოსაზრებით, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მასიური Bulk SMS მომსახურების თაობაზე, საფასურის ჩათვლით, თუმცა ვიონთან ცალკე ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში მაგთიკომი გზავნიდა ასეთი ტიპის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ვიონის აბონენტებთან და აქამდე ეს დავის საგანი არ გამხდარა. მაგთიკომი განმარტავს, რომ მხარეებს შორის მომსახურების ფასზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ოპერატორს უფლება უნდა ჰქონდეს დაბლოკოს ასეთი შეტყობინებების გაგზავნა საკუთარ აბონენტებთან. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქსელში დაშვების ვალდებულება შესაბამისი ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო წლების განმავლობაში ცალკე ხელშეკრულება მხარეებს შორის Bulk SMS მომსახურებაზე არ გაფორმებულა, ვიონს არ მიუმართავს მაგთიკომისთვის, ისე გათიშა საკუთარ ქსელში Bulk SMS-ები, მხარეების შეუთანხმებლობა ხელშეკრულების პირობებზე არც დაფიქსირებულა. მაგთიკომს მიაჩნია, რომ ვინაიდან წლების განმავლობაში ასეთი SMS-ები იგზავნება და პრეტენზია არ ყოფილა, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ მას საფასური დაადოს, უნდა გააფორმოს ხელშეკრულება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს განხორციელდა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. მაგთიკომს მიაჩნია, რომ ურთიერთჩართვის ვალდებულების გათვალისწინებით, თუ ოპერატორი გადაწყვეტს A2P SMS-ების გაგზავნისთვის საფასურის განსაზღვრას, ხელშეკრულების პირობებზე უნდა მორიგდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს ურთიერთჩართვის ვალდებულება. თუ ხელშეკრულების პირობებზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ და მაგთიკომმა უარი განაცხადა ვიონის წარმოდგენილ პირობებზე, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული ვიონის მიერ A2P SMS-ების დასრულების შეწყვეტა;

ვიონის წარმომადგენელმა ირაკლი ესართიამ დაადასტურა აღნიშნული მიდგომა, ერთი განსხვავებით, რომ მას მიაჩნია, რომ A2P და P2P Bulk SMS მომსახურება არ წარმოადგენს ურთიერთჩართვის ნაწილს, არ ჯდება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებაში, ვინაიდან, A2P შემთხვევაში მეორე მხარეს მომხმარებელი არ არის, არის პროგრამა, რომელიც აგზავნის შეტყობინებას, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირის, ისე ოპერატორის პროგრამა. მისი განმარტებით, მაგთიკომსა და ვიონს შორის მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში ურთიერთჩართვის ვალდებულება მხოლოდ P2P მოკლე ტექსტური შეტყობინების დასრულების შემთხვევაზე ვრცელდება;

ვიონის განმარტებით, მაგთიკომისთვის ცნობილი იყო იმ წერილის შინაარსი, რომელიც ვიონმა პროკრედიტ ბანკს გაუგზავნა ვიონთან ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით. ეს ინფორმაცია მიწოდებული იყო მაგთიკომისთვის და თუ მას სურვილი ჰქონდა გაეფორმებინა ხელშეკრულება ვიონთან, ვიონი მზად იყო და ახლაც აცხადებს, რომ ვისაც ექნება სურვილი ვიონის ქსელში დაასრულოს A2P მოკლე ტექსტური შეტყობინებები, აღნიშნულზე უნდა გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება. ირაკლი ესართიას განმარტებით, ამგვარი ხელშეკრულება არ წარმოადგენს ოფერტის ნაწილს, ვინაიდან ეს არ არის ურთიერთჩართვა;

მაგთიკომის წარმომადგენელმა ლევან გიორგაძემ აღნიშნა, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკების საშუალება. თუ მხარე მოითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას, ის უნდა გაფორმდეს 10 დღის ვადაში, ხოლო თუ ვერ გაფორმდა, მხარეს აქვს უფლება გათიშოს მომსახურება. თუმცა სხდომაზე კომისიის მხრიდან დასმულ შეკითხვაზე, კომისიას უნდა

მიმართოს თუ არა კომანიამ ფასზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მას მიაჩნია, რომ თუ კომპანია მოითხოვს კომისიის ნებართვას ურთიერთჩართვის გათიშვაზე, კომისიამ A2P SMS-ები არ უნდა ჩათვალოს ურთიერთჩართვად.

II. კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები

1. მაგთიკომის 2019 წლის 18 აპრილის Ш-19-6/1761 საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით;
2. ვიონის 2019 წლის 14 მაისის NШ-19-6/2204 პოზიცია მაგთიკომის საჩივარზე, თანდართული დოკუმენტებით;
3. მაგთკომსა და ვიონს შორის მოქმედი 2010 წლის 1 აგვისტოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება;
4. კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ჯღამაძის 2019 წლის 1 მაისის N19-10-702 სამსახურებრივი ბარათი;
5. კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის დავით გოგიჩაიშვილის 2019 წლის 1 მაისის N19-10-706 სამსახურებრივი ბარათი;
6. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თამარ ჭელიძის 2019 წლის 25 აპრილის N19-10-686 სამსახურებრივი ბარათი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსს ბ-ნ მიხეილ ჯღამაძეს;
7. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თამარ ჭელიძის 2019 წლის 25 აპრილის N 19-10-687 სამსახურებრივი ბარათი სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსს ბ-ნ დავით გოგიჩაიშვილს;
8. კომისიის 2019 წლის 25 აპრილის N გ-19-03/1228 შეტყობინება შპს ,,მაგთიკომს";
9. კომისიის 2019 წლის 25 აპრილის N გ-19-03/1227 შეტყობინება შპს ,,ვიონი საქართველოს";
10. ვიონი საქართველოს 2019 წლის 30 აპრილის NШ-19-6/1953 წერილი კომისიას;
11. კომისიის 2019 წლის 2 მაისის N გ-19-03/1316 შეტყობინება შპს ,,ვიონი სქართველოს";
12. კომისიის 2019 წლის 2 მაისის Nგ-19-03/1315 შეტყობინება შპს ,,მაგთიკომს";
13. კომისიის 2019 წლის 16 მაისის N გ-19-03/1386 შეტყობინება შპს ,,მაგთიკომს".

III. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს ,,მაგთიკომი" წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს (ავტორიზაციის თარიღი 01.02.2010). ავტორიზებული საქმიანობის სახეები: **A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა;** სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;** რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;** პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.5 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა;** რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.6 საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა;** საკანალიზაციო არხების ფუნქციური

რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.7 ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;** ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.M.1 თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;** GSM; WCDMA; CDMA; LTE; **A.S.1 ინტერნეტ მომსახურება;** თანამგზავრული სააბონენტო დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;** ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; ტექსტური შეტყობინების მომსახურება; **B.F.2 ინტერნეტ მომსახურება;** სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL); ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება; WiFi; CDMA; 3G; ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება;

B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი; ტელემაუწყებლობის ტრანზიტი; რადიომაუწყებლობის ტრანზიტი; **B.F.6 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;** გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand); **B.M.1 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა;** მოძრავი თანამგზავრული სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით; ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; როუმინგული კავშირით მომსახურება; **B.M.2 თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება; თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება;** სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება); ტექსტური შეტყობინების მომსახურება; მულტიმედიური მომსახურება; ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა); მოძრავი ინტერნეტ მომსახურება; მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება; სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება; **B.S.1 მოძრავი თანამგზავრული სატალეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;** მოძრავი თანამგზავრული სატალეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; **B.S.2 ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით;** ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით; **B.S.3 თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება;** თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება; **B.S.4 თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება** თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება; **B.S.5 სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება** სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება.

2. შპს ვიონი საქართველო წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს: **A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;** ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.F.7 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა ძირითადი საკომუნიკაციო** ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა; **A.M.1 ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;** GSM; LTE; **B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი**

კავშირით მომსახურება ტექსტური შეტყობინების მომსახურება; საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; **B.F.2 ინტერნეტ მომსახურება; B.F.3 მონაცემთა გადაცემა; B.M.1 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;** როუმინგული კავშირით მომსახურება; ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; **B.M.2 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა;** ტექსტური შეტყობინების მომსახურება; მულტიმედიური მომსახურება; ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა); მოძრავი ინტერნეტ მომსახურება;

3. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2019 წლის 1 მაისის N19-10-702 სამსახურებრივი ბარათში წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მაგთიკომის საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა Bulk SMS სერვისებს: კერძოდ, მობილურ ოპერატორს ქსელში გააჩნია სპეციალური მოწყობილობა SMSC (Short Message service center) მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვის ცენტრი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მომხმარებელს მიაწოდოს SMS სერვისები. ქსელში იდენტიფიცირებისათვის ყველა ოპერატორს გააჩნია უნიკალური SMS ცენტრის ნომერი. მობილური ქსელები შესაძლებელია ერთმანეთთან ურთიერთ ჩართული იყვნენ როგორც პირდაპირ, ასევე გლობალური SMS ჰაბის საშუალებით, გლობალური SMS ჰაბში ჩართვა ოპერატორისთვის აუცილებელია უცხო ქვეყნის ქსელებთან SMS გაცვლისათვის. Bulk SMS ის გაგზავნა მომხმარებელთან ხორციელდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ ინტერნეტის საშუალებით მიერთებულია SMSC-თან. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, შესაძლებელია წინასწარ შერჩეულ მომხმარებელთა ჯგუფთან მოხდეს ერთდროული და ასევე ერთგვაროვანი ტექსტური შეტყობინების გაგაგზავნა. პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მომხმარებელთან მიღებულ Bulk SMS-ში გამომგზავნის ადრესატად დაფიქსირდეს როგორც ციფრების ასევე სიმბოლოების კომბინაცია (გამგზავნი ,,A“ ნომერი ან კომპანიის სახელი ,,ბრენდი“). აღსანიშნავია, რომ Bulk SMS-ის გამომგზავნი ადრესატი შესაძლებელია არ იყოს საქართველოში და მობილური ოპერატორის SMSC-ში შეტყობინებას აგზავნიდეს გლობალური SMS ჰაბის საშუალებით;

4. სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის 2019 წლის 1 მაისის N19-10-706 სამსახურებრივი ბარათში წარმოდგენილია ინფორმაცია Bulk SMS მომსახურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 1) SMS მომსახურება შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტული მომსახურების სახედ, როდესაც ხდება „A“ ნომრის მფლობელი აბონენტის მიერ მობილური ტელეფონის გამოყენებით მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა „B“ ნომრის მფლობელი აბონენტის მობილურ ტელეფონზე და პირიქით, ხოლო ე.წ. „Bulk SMS“ მომსახურების შემთხვევაში, როცა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა ხდება შეტყობინების გამგზავნი „A“ ნომრის მფლობელი კომპანიის ბრენდული დასახელებით ან სატელეფონო ნომრით, ერთდროულად ან ინდივიდუალურად დიდი რაოდენობის სააბონენტო ნომრებთან და ამ მომსახურების გამოყენება ხდება კომერციული მიზნებისათვის (რეკლამა, საბანკო მომსახურება, ტაქსით მომსახურება და ა.შ.), შეიძლება ჩაითვალოს არასტანდარტულ მომსახურებად. ამავე დროს ე.წ. „Bulk SMS“ მომსახურება არასტანდარტულად შეიძლება ჩაითვალოს ასევე იმ მიზეზითაც, რომ ამ მომსახურებისას შეზღუდულია ბოლო მომხმარებლის („B“ ნომრის) მიერ „A“ ნომერზე შეტყობინების გადაგზავნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტყობინების მიმღები „B“ ნომრის ქსელის მფლობელ ავტორიზებულ პირს შეუძლია ე.წ. „Bulk SMS“ მომსახურებაზე (არასტანდარტული მომსახურება) არსებულისაგან (სტანდარტული SMS მომსახურება) განსხვავებული პირობებით შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნა. SMS მომსახურების ბაზრის საბითუმო სეგმენტი მიმდინარე ეტაპზე რეგულაციას არ ექვემდებარება; 2) ე.წ. „Bulk SMS“ მომსახურების უზრუნველყოფა უნდა დარეგულირდეს ამ მომსახურების მიმღებსა (იურიდიული ან ფიზიკური პირი) და შესაბამის ავტორიზებულ პირს შორის გაფორმებული კომერციული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე. ამავე დროს, მომსახურების მიმღები უფლებამოსილია ხელშეკრულება გააფორმოს ნებისმიერ ავტორიზებულ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს მისთვის მისაღები და სასურველი

პირობებით ე.წ. „Bulk SMS“ მომსახურების შეთავაზებას და ყველა სხვა ავტორიზებული პირის კუთვნილ აბონენტებთან წვდომას;

5. მაგთიკომსა და ვიონს შორის მოქმედებს 2010 წლის 1 აგვისტოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის, 2010 წლის 21 მაისის N240/9 გადაწყვეტილებით დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებებისა და მაგთიკომის მოწვევის ოფერტის შესაბამისად, გათვალისწინებულია ორ ავტორიზებულ პირს შორის ურთიერთჩართვის პირობები. კერძოდ, ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, მაგთიკომსა და მობიტელს (ვიონი) შორის ქსელებისა და საშუალებების ურთიერთდაკავშირება (ურთიერთჩართვა), აბონენტთა ან/და ქსელების მომხმარებელთა უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი კავშირის უზრუნველყოფის, ტრაფიკის აღრიცხვისა და მხარეთა მიერ შეთავაზებული მომსახურების მიზნით. ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრულია ხმოვანი ზარის ურთიერთჩართვის პირობები;

6. პროკრედიტ ბანკი წარმოადგენს მაგთიკომის აბონენტს მაგთიკომსა და პროკრედიტ ბანკთან 2012 წლის 16 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად;

7. ვიონის 2019 წლის 14 მაისის წერილობით პოზიციაში მაგთიკომის საჩივარზე აღნიშნულია, რომ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ურთიერთჩართვის მომსახურება არ შეჩერებულა, ვინაიდან ორივე ქსელის ბოლო მომხმარებლები დღემდე ახორციელებენ ერთმანეთთან დაკავშირებას ყოველგვარი ხარვეზისა და შეზღუდვის გარეშე. აღნიშნული წერილობითი პოზიციის, ასევე კომისიის 2019 წლის 16 მაისსა და 30 მაისს, კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვისას, მხარეებისაგან მიღებული ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით, დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ SMS მომსახურების თაობაზე ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში ჩანაწერი არ არსებობს, მხარეები ამავე ხელშეკრულების გათვალისწინებით წლების განმავლობაში საკუთარ ქსელში SMS მომსახურებას (როგორც P2P, ისე A2P SMS) ასრულებდნენ უფასოდ;

8. 2019 წლის 15 თებერვლიდან ვიონმა შეწყვიტა მაგთიკომის ქსელიდან ProCredit ბრენდული სახელწოდებით შემავალი ე.წ. Bulk SMS-ების დასრულება საკუთარი ქსელის აბონენტებთან. ამ ეტაპზე ბრენდული სახელით ProCredit მოკლე ტექსტური შეტყობინებები ვიონის ქსელში იგზავნება პროკრედიტ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება

<u>დაშვება</u>

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის რ) პუნქტის შესაბამისად, დაშვება არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით (მათ შორის, ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტებით, ტექნიკური საშუალებებით, მათი თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით, ან მათი გამოყენებით განხორციელებული (ან განხორციელებადი) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მსურველი ავტორიზებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან არადისკრიმინაციული დაშვება იმგვარი პირობებით, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე არსებითად მსგავსი ურთიერთობების შემთხვევებში, დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული და სხვა ავტორიზებული პირებისათვის;

<u>ურთიერთჩართვა</u>

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუნქტის შესაბამისად, ურთიერთჩართვა განმარტებულია როგორც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ფიზიკური და ლოგიკური კავშირი, რომელსაც იყენებს ერთი ან რამდენიმე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რათა ერთი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცეს, დაუკავშირდეს იმავე ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს, ან/და ისარგებლოს სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომსახურებით, და რომელიც ხორციელდება ოპერატორების მიერ საკუთარი ქსელების შესაბამის ელემენტებთან შეუზღუდავი, სავალდებულო და არადისკრიმინაციული ურთიერთდაშვებით;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ა) პუნქტის თანახმად,
აბონენტი არის ბოლო მომხმარებელი, რომელსაც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთან წინასწარ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე მიეწოდება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება. ამავე მუხლის ო) პუნქტის თანახმად, ბოლო მომხმარებელი არის მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებლისათვის;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის ან ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება. დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა. ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით.

<u>გამჭვირვალობის ვალდებულება ნუმერაციის რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით</u>
„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ [14]) პუნქტის თანახმად, ნუმერაციის რესურსი წარმოადგენს ნუმერაციის სისტემის საფუძველზე არსებული სიმბოლოების სისტემას, რომელიც გამოიყენება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებისას. „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის N355 დადგენილების მე-2 მუხლის ჰ[2]) პუნქტის თანახმად, ნუმერაციის რესურსი წარმოადგენს ნუმერაციის სისტემის საფუძველზე არსებულ სიმბოლოების სისტემას, რომელიც გამოიყენება ნუმერაციის მინიჭებისას ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვის გაცემისას. ამავე დადგენილების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში მობილური კავშირის განხორციელების დროს გამოძახების იდენტიფიცირებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გამომძახებელი აბონენტის ეროვნული ნომრის გამჭვირვალედ გადაცემა ან/და მიღება;

<u>მობილური საკომუნიკაციო მომსახურება</u>
„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ღ) პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება განმარტებულია როგორც საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ სთავაზობს მსურველ ოპერატორს ან მომხმარებელს. „ელექტრონული

კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილების მე-3 მუხლის ჰ)[18] პუნქტის თანახმად, მობილური სატელეფონო მომსახურება არის მობილური ტელეფონის საშუალებით განხორციელებული საუბარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ხმოვანი შეტყობინება, მუსიკალური შეტყობინება, მულტიმედიური შეტყობინება, გუნდური კავშირი, მობილური ჩათი, მობილური ინტერნეტი, GPRS ინტერნეტი, მობილური ლექსიკონი, აუდიომაცნე, ნომრის დაფარვა (CLIR), დაფარული ნომრის ამოცნობა (CLIROVR),ზარის გადატანა, ზარის ლოდინი, საკონფერენციო კავშირი, ზარის შეზღუდვა, ფაქსისა და მონაცემთა გადაცემა (FAX/DATA), ორნომრიანი SIM ბარათი, თანხის გადარიცხვა, პოლიფონიური მელოდიები, ნახატები, ანიმაციები, ლოგოები, თამაშები, სატელეფონო ცნობარი, საინფორმაციო მომსახურება, როუმინგი და სხვა მობილური საკომუნიკაციო მომსახურება;

<u>ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტი</u>

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირება ხორციელდება ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად. მე-2 მუხლის ჰ[26]) პუნქტის თანახმად, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეს და არა ამ მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებულ ტექნოლოგიებს; ხოლო მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის მარეგულირებელი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობისა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპები;

SMS მომსახურების განსხვავებული სახეობები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, ან რომელიმე სამართლებრივი აქტით არ არის განსაზღვრული. სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის 2019 წლის 1 მაისის N 19-10-706 დასკვნაში აღნიშნულია, რომ SMS მომსახურების ბაზრის საბითუმო სეგმენტი მიმდინარე ეტაპზე რეგულაციას არ ექვემდებარება. შესაბამისად, არც სხვადასხვა სახის SMS მომსახურება (A2P და P2P Bulk SMS) არ არის გაანალიზებული;

„მოძრავი საკომუტაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2010 წლის 21 მაისის N240/9 გადაწყვეტილებისა და მაგთიკომის მოწვევის ოფერტის შესაბამისად, მაგთიკომსა და ვიონს შორის მოქმედებს 2010 წლის 1 აგვისტოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლითაც გათვალისწინებულია მაგთიკომსა და მობიტელს (ვიონი) შორის ქსელებისა და საშუალებების ურთიერთდაკავშირება (ურთიერთჩართვა), აბონენტთა ან/და ქსელების მომხმარებელთა უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი კავშირის უზრუნველყოფის, ტრაფიკის აღრიცხვისა და მხარეთა მიერ შეთავაზებული მომსახურების მიზნით. ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრულია ხმოვანი ზარის ურთიერთჩართვის ტარიფები და სხვა პირობები. ამავე ხელშეკრულებით SMS მომსახურების მიწოდება გათვალისწინებული არ არის. ამასთანავე, მაგთიკომი და ვიონი წლების განმავლობაში SMS (როგორც ტრადიციული - P2P, ისე არასტანდარტული - A2P) მომსახურების დასრულებას საკუთარ ქსელში ახორციელებდნენ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების ფარგლებში და მხარეთა შეთანხმებას წარმოადგენდა ის, რომ აღნიშნული მომსახურების მიწოდება იქნებოდა უფასო;

გარიგებების არსსა და მის ნამდვილობასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით. 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი

ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს. სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ იგი. კომისია აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული რომ არ ყოფილიყო ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და უზრუნველყოფილი არ ყოფილიყო ქსელების ფიზიკური დაკავშირება, SMS-ების გაცვლა არ მოხდებოდა. მაგთიკომსა და ვიონს შორის SMS მომსახურებასთან დაკავშირებით არსებობდა შეთანხმება, რომელიც შედგა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, კერძოდ ის, რომ SMS მომსახურების დასრულება მაგთიკომისა და ვიონის ქსელში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა უფასოდ და აღნიშნული სადავო არ ყოფილა, 2019 წლის 15 თებერვალს ვიონის მიერ მაგთიკომის ქსელიდან ბრენდული სახელით ProCredit შემომავალი SMS-ების გათიშვამდე.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა

კომისია აღნიშნავს, რომ დავის ფარგლებში განსახილველი საკითხი SMS მომსხაურების სახეობების დიფერენცირების თაობაზე კომისიის მიერ შესწავლილი აქამდე არ ყოფილა. ამდენად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა, რაც წარმოდგენილ იქნა კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის, სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის, ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის, რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტისა და პროექტების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ჩართულობით. მოძიებულ იქნა ინფორმაცია ე.წ. Bulk SMS-ებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეგულაციების, მიდგომებისა და პრაქტიკის თაობაზე, საკონსულტაციო მოსაზრებები გაცვლილ იქნა Cullen International-თან, ასევე ლიეტუვას რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოსთან - RRT. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში საბითუმო ბაზრის სეგმენტზე SMS მომსახურების დასრულების ტარიფი შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ ამ ეტაპზე დადგენილი არ არის[1] [2]. ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელმა ორგანოს - ARCEP[3] 2006 წლის რეგულაცია საბითუმო ბაზარზე SMS მომსახურების დასრულების ტარიფის შემოღებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულ ბაზარზე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მან აღნიშნული რეგულაცია 2015 წლიდან გააუქმა[4]. Telecom Italia/Vodafone-ის მიერ იტალიის Bulk SMS ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო იტალიის რესპუბლიკის კონკურენციის სააგენტომ 2017 წლის 13 დეკემბერს ფინანსური სანქციები დააკისრა აღნიშნულ კომპანიებს. გადაწყვეტილების მიღებისას, კონკურენციის სააგენტომ იმსჯელა Bulk SMS ბაზრის ანალიზზე და დაასკვნა, რომ A2P Bulk SMS წარმოადგენს ტრადიციული SMS-ისგან განსხვავებულ ბაზარს[5] და მიჩნეულია, რომ იგი არ არის ჩანაცვლებადი, განსხვავებით ტრადიციული SMS-საგან, რადგან მისი ჩანაცვლება არ ხდება

---

[1] https://www.cullen-international.com/product/documents/CTTEEU20180037

[2] http://www.cullen-international.com/product/documents/FLTEEU20100097; https://www.cullen-international.com/product/documents/FLTEEU20100079; https://www.cullen-international.com/product/binarydocs/14061;

[3] https://www.arcep.fr/

[4] https://www.cullen-international.com/product/documents/sections/?section=92fed261-3fc0-4349-bd3a-65f255a7f395&orderBy=country&uniqueNumber=B5TEEU20150001; მსგავსი გადაწყვეტილებები ჰქონდა მიღებული პოლონეთისა და დანიის კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოებს, მათ შორის საბითუმო სეგმენტზე SMS დასრულების ტარიფის გაუქმების შესახებ.

[5] https://www.concurrences.com/en/bulletin/news-issues/december-2017/the-italian-competition-authority-sanctions-telecom-companies-for-two-differenthttps://www.concurrences.com/en/bulletin/news-issues/december-2017/the-italian-competition-authority-sanctions-telecom-companies-for-two-different;

რომელიმე სხვა მსგავსი სერვისებით. ასევე, A2P SMS მომსახურების უპირატესობას წარმოადგენს: ა) მისი საშუალებით ნებისმიერ მობილურ მოწყობილობაზე SMS-ის დასრულების შესაძლებლობა; ბ) არ საჭიროებს ინტერნეტ კავშირს; გ) მაღალი სანდოობით გამოირჩევა თაღლითობისაგან (fraud) დაცვის მიზნით;

რაც შეეხება Bulk SMS-ებთან დაკავშირებით დავების გადაწყვეტის პრაქტიკას, ამ მხრივ აღსანიშნავია ლიეტუვას კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს (RRT) გადაწყვეტილებები[6]. OMNITEL v TELE2 (2015წ) დავა შეეხებოდა ტელე2-ის მიერ ომნიტელის ქსელიდან ბრენდული სახელწოდებით SEB Bankas-ის A2P Bulk SMS-ების დაბლოკვას მარეგულირებლის თანხმობის გარეშე იმ მოტივით, რომ ურთიერთჩართვის ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა Bulk SMS მომსახურების პირობებს, მოიცავდა მხოლოდ სატელეფონო ზარის მომსახურებას, ასეთი შეტყობინებები დიდი მოცულობის იყო და გააჩნდა მარკეტინგული/კომერციული ხასიათი. ასეთ მომსახურებას მხარეები წლების განმავლობაში უწევდნენ ერთმანეთს ურთიერთჩართვის რეჟიმში და დამატებითი საფასური აღნიშნულთან დაკავშირებით არ დაუდგენიათ. ამ საქმეში სადავო იყო ასევე ტელე2-ის მიერ შეთავაზებული ფასი, რასაც ომნიტელ არ დაეთანხმა. შედეგად, ტელე2-მა დაბლოკა SEB Bankas-ის A2P Bulk SMS-ები. მარეგულირებელმა ორგანომ დაავალდებულა ტელე2 არ დაებლოკა ომნიტელის ქსელიდან შემავალი ნებისმიერი SMS, ნომრით ან მის გარეშე, ვინაიდან დაშვებისა და ურთიერთჩართვის ვალდებულებები წარმოადგენს იმპერატიულ ვალდებულებებს როგორც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ მოქმედი კანონის, ისე დაშვების ევროდირექტივის შესაბამისად (2002/19), რომლის შეწყვეტის უფლებაც ტელე2-ს არ ჰქონდა. მარეგულირებელმა ასევე განმარტა, რომ მხარეებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება SMS (A2P, P2P) მომსახურების პირობებზე შეთანხმებას არ ითვალისწინებდა, თუმცა ასეთი მომსახურება არ წარმოადგენდა გამონაკლისს ურთიერთჩართვის ხელშეკრულებიდან და მხარეები სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად SMS მომსახურებაზე შეთანხმებულები იყვნენ, რაც წარმოადგენს ურთიერთჩართვის ხელშეკრულების ნაწილს. მარეგულირებელმა ასევე იმსჯელა ტელე2-ის მიერ Bulk SMS დასრულებისთვის შემოთავაზებული თანხის ოდენობაზე მხარეთა შეუთანხმებლობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ტელე2-მა ომნიტელს უნდა შესთავაზოს Bulk SMS მომსახურების მიწოდების სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობები და ფასი. TCG TELECOM v TELE2 (2017წ) დავაზე, რომელიც შეეხებოდა მხარეებს შორის მოქმედი SMS მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტას, ლიეტუვას მარეგულირებელმა არსებითად გაიმეორა OMNITEL v TELE2 (2015წ) სადავო საკითხზე საკუთარი გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ SMS შეიძლება გაგზავნილი იყოს სხვადასხვა მიზნებისთვის, განსხვავებული ტექნოლოგიების გამოყენებით, საერთო სარგებლობის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდებისათვის (მათ შორის შეტყობინების გაგზავნა/მიღება), რომლის ტექნიკური შესაძლებლობები და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტი გარანტირებული უნდა იყოს ოპერატორების მიერ მიუხედავად მოწყობილობების ან ტექნოლოგიებისა, რომლებსაც ის იყენებს ასეთი მომსახურების გაგზავნისა და მიღებისთვის;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ღ) და ჰ[29] პუნქტების, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილების მე-3 მუხლის ჰ) [18] პუნქტის გათვალისწინებით, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის ან ელექტრონული

[6] OMNITEL-ი TELE2-ის წინააღმდეგ (2015 წ), ასევე TCG Telecom Tele2-ის წინააღმდეგ (2017 წ).

საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება. დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა. ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით;

კომისია განმარტავს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა/მიღება წარმოადგენს მობილური სატელეფონო მომსახურების სახეობას. ამავდროულად, სატელეკომუნიკაციო სფეროში ტექნოლოგიებისა და მომსახურების განვითარებასთან ერთად SMS მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სახის შეტყობინება: ტრადიციული მოკლე ტექსტური შეტყობინება წარმოადგენს ორ აბონენტს შორის შეტყობინებას, რომლის გაგზავნაც შესაძლებელია A ნომრიდან B ნომერზე (ე.წ. P2P); ასევე მარკეტინგული, კომერციული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებსაც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ერთი ოპერატორი აპლიკაციის მეშვეობით, A ნომრით, ან მის გარეშე, (ე.წ. A2P), დიდი (მასიური) რაოდენობით გზავნის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სხვა ოპერატორის ან საკუთარ აბონენტებთან (ე.წ. Bulk SMS). ასეთი შეტყობინებები განსხვავდება ტრადიციული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისაგან მისი მარკეტინგული, კომერციული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების, დიდი (მასიური) მოცულობისა და აპლიკაციის მეშვეობით გაგზავნის გამო. ამდენად, Bulk SMS წარმოადგენს ტრადიციული SMS-ისაგან განსხვავებულ, არასტანდარტული სახის SMS მომსახურებას;

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების მობილურ ქსელში დასრულების მომსახურების ბაზრის საბითუმო სეგმენტი მიმდინარე ეტაპზე რეგულაციას არ ექვემდებარება, შესაბამისად, მობილურ ქსელში დასრულების მომსახურების ბაზრის საბითუმო სეგმენტზე SMS დასრულების ტარიფი დადგენილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შეუძლიათ განსაზღვრონ ტრადიციული SMS-აგან განსხვავებული ფასი არასტანდარტული Bulk SMS მომსახურებისათვის, სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით;

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიის წევრმა ე. ასანიძემ დააფიქსირა განსხვავებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებმა ნებისმიერი სახის SMS მომსახურების მიწოდება საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან უნდა უზრუნველყონ დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით (პირობებით). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა SMS დასრულების ბაზარზე კონკურენციის კვლევა და მობილურ კომპანიებს დაუდგინდათ სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის სატარიფო რეგულაცია, ტარიფები მობილურ ქსელში SMS-ის დასრულებისთვის იქნება ერთნაირი ყველა სახის SMS-ისათვის, იმისდა მიუხედავად სტანდარტულია SMS თუ Bulk;

კომისია ასევე განმარტავს, რომ საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში მოკლე ტექსტური შეტყობინების ნებისმიერი მიზნითა თუ დანიშნულებით გაგზავნისას, ოპერატორების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტი, განურჩევლად გამოყენებული მოწყობილობებისა თუ ტექნოლოგიური გადაწყვეტებისა. მოკლე ტექსტური შეტყობინებების საკუთარ ქსელში დასრულების მომსახურების მიწოდება წარმოადგენს ურთერთჩართვის განუყოფელ ნაწილს, რომლის შეწყვეტაც დაუშვებელია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. SMS მომსახურების ხელშეკრულების პირობებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან მიმართონ კომისიას დავის გადაწყვეტის მიზნით;

კომისია აღნიშნავს, რომ ვიონის მიერ მაგთიკომის ქსელიდან ბრენდული სახელწოდებით ProCredit შემომავალი ე.წ. Bulk SMS-ების დაბლოკვის შედეგად დაირღვა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) პუნქტი და მე-3 პუნქტის, რაც ამავე კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, სანქცირების საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში დენადი ხასიათის დარღვევის აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30000 ლარისა. იმის გათვალისწინებით, რომ Bulk SMS-ებთან დაკავშირებული საკითხი ოპერატორებს შორის აქამდე არ გამხდარა დავის საგანი, საკითხის განხილვა ხდება პირველად, რომლის ფარგლებშიც კომისია აკეთებს მნიშვნელოვან განმარტებებს Bulk SMS მომსახურებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ვიონის სამართალდამრღვევად ცნობა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4, 53-ე, 98-ე, 99-ე მუხლების, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ს ვ) ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, 36-ე, 37-ე, 40-ე, 41-ე, 42-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ (კ. ბექაური, ვ. აბაშიძე, ე. ასანიძე, გ,ფრუიძე, მ. ქათამაძე), კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, ხოლო 3.2. პუნქტთან დაკავშირებით, ხმათა უმრავლესობით, მომხრე: კ. ბექაური, ვ. აბაშიძე, გ. ფრუიძე, მ. ქათამაძე; წინააღმდეგი: ე. ასანიძე

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შპს „ვიონი საქართველო“ ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის დარღვევის გამო;
2. გათავისუფლდეს შპს „ვიონი საქართველო“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან;
3. მხარეებს განემარტოთ შემდეგი:

3.1. მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა/მიღება წარმოადგენს მობილური სატელეფონო მომსახურების სახეობას. ტრადიციული მოკლე ტექსტური შეტყობინება წარმოადგენს ორ აბონენტს შორის შეტყობინებას, რომლის გაგზავნაც შესაძლებელია A ნომრიდან B ნომერზე (ე.წ. P2P). რაც შეეხება მარკეტინგული, კომერციული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების მოკლე ტექსტური შეტყობინებებს, რომლებსაც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ერთი ოპერატორი აპლიკაციის მეშვეობით (A ნომრით, ან მის გარეშე, ე.წ. A2P), დიდი (მასობრივი) რაოდენობით გზავნის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სხვა ოპერატორის ან საკუთარ აბონენტებთან (ე.წ. Bulk SMS), ამგვარი შეტყობინებები წარმოადგენს განსხვავებულ, არასტანდარტული სახის SMS მომსახურებას;

3.2. მოკლე ტექსტური შეტყობინებების მობილურ ქსელში დასრულების მომსახურების ბაზრის საბითუმო სეგმენტი მიმდინარე ეტაპზე რეგულაციას არ ექვემდებარება, შესაბამისად,

საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შეუძლიათ მიაწოდონ ასეთი მომსახურება სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით;

3.3. საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებში მოკლე ტექსტური შეტყობინების ნებისმიერი მიზნითა თუ დანიშნულებით გაგზავნისას, ოპერატორების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტი, განურჩევლად გამოყენებული მოწყობილობებისა თუ ტექნოლოგიური გადაწყვეტებისა. ამდენად, მოკლე ტექსტური შეტყობინებების საკუთარ ქსელში დასრულების მომსახურების მიწოდება წარმოადგენს ურთერთჩართვის განუყოფელ ნაწილს, რომლის შეწყვეტაც დაუშვებელია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეებისათვის ჩაბარებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეებისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6;

6. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „მაგთიკომისა“ და შპს „ვიონი საქართველოსათვის“ გაგზავნა;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სამართლებრივ დეპარტამენტს (თ. ჭელიძე).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი